

დამტკიცებულია  
სსიპ ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით  
ოქმი №--  
---.----.2010წელი  
სპიკერი, ასოც. პროფესორი: ო. მაისურაძე

დანართი

## საჯარო სამართლის იურიდიული პირი ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

### იურიდიული ფაკულტეტის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტი) იურიდიული ფაკულტეტი (შემდგომში ფაკულტეტი) არის უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული, რომელიც აკადემიური თავისუფლებისა და ავტონომიის პირობებში ახორციელებს სასწავლო პროგრამებისა და სამეცნიერო კვლევებს სამართალმცოდნეობის მიმართულებით.
2. ფაკულტეტი თავისი ფუნქციების განხორციელებისას ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, უნივერსიტეტის წესდებით, შიდასაუნივერსიტეტო სამართლებრივი აქტებითა და ამ დებულებით.
3. ფაკულტეტი ვალდებულია შეუქმნას სტუდენტს სახელმწიფოს განვითარების დონიდან გამომდინარე საუკეთესო პირობები სწავლისა და დამოუკიდებელი კვლევისათვის, უზრუნველყოს მეცნიერების შესაბამის დარგში თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი, მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობა და მუდმივად იზრუნოს სასწავლო პირობების გაუმჯობესებაზე. საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი აკადემიური ხარისხი და მიეცემა ხარისხის მინიჭების დამადასტურებელი დიპლომი.
4. ფაკულტეტი აერთიანებს როგორც სასწავლო-კვლევითი ისე დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებს, რომლებსაც შეხაზა აქვთ მის სემადგენლობაში არსებულ სპეციალობებთან.

## მუხლი 2. აკადემიური პერსონალი. სტუდენტი

1. აკადემიური თანამდებობის დაკავება ხდება გამჭირვალეობის, თანასწორობის და სამართლიანი კონკურსის პრინციპების შესაბამისი ღია კონკურსის წესით;
2. აკადემიური თანამდებობის პირი თავისუფალია სასწავლო პროგრამის შინაარსის და სწავლების მეთოდების განსაზღვრაში;
3. აკადემიური თავისუფლების რეალიზაციისას დაუშვებელია შეილახოს სტუდენტის უფლება მიიღოს ხარისხიანი განათლება;
4. იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი არის საქართველოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად იურიდიულ ფაკულტეტზე ჩარიცხული პირი;
5. სტუდენტი უფლებამოსილია განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის წესდებით მისთვის მინიჭებული უფლებები. სტუდენტი ვალდებულია დაიცვას უნივერსიტეტის პრესტიჟი, პატივი სცეს ფაკულტეტის პერსონალს, დაემორჩილოს უნივერსიტეტის შინაგანწესსა და დიციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებს, დაიცვას სტუდენტური ხელშეკრულებისა და ეთიკის კოდექსის მოთხოვნები.

## მუხლი 3. ფაკულტეტის საბჭო

1. ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა ფაკულტეტის საბჭო (შემდგომში საბჭო), რომლის შემადგენლობაში შედიან ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი და სტუდენტთა თვითმართველობიდან არჩეული წარმომადგენლები, საბჭოს შემადგენლობის 1/4 -ის რაოდენობით.
2. საბჭო თავის წევრებიდან ირჩევს მდივანს;
3. საბჭოს სხდომა ტარდება თვეში ერთხელ, (საჭიროების შემთხვევაში მოიწვევა რიგგარეშე სხდომა).
4. საბჭო უფლებამოსილია გადაწყვიტოს საკითხები, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა 2/3.
5. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გადასინჯვა, გაუქმება ან შეცვლა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ამას მოითხოვს ფაკულტეტის საბჭოს წევრთა 2/3, დეკანის სახელზე შეტანილი წერილობითი განცხადებით.
6. საბჭოს სხდომა ფორმდება ოქმით. ოქმს ხელს აწერს საბჭოს თავჯდომარე(დეკანი) და მდივანი.
7. საბჭოს თავჯდომარე აკონტროლებს საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებას და მოახსენებს საბჭოს წევრებს მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების შესახებ.

## მუხლი 4. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილება

1. ფაკულტეტის საბჭო:
  - ა) განსაზღვრავს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს ფაკულტეტის ბიუჯეტს;
  - ბ) თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ფაკულტეტის დეკანს;

- გ). ისმენს დეკანის ინფორმაციას ფინანსურ შემოსავლებზე და სახავს გზებს მის გასაუმჯობესებლად;
- დ). დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს და აკადემიურ საბჭოს წარუდგენს დასამტკიცებლად ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას;
- ე). უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით ირჩევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს;
- ვ). ადგენს საგანმანათლებლო პროგრამების პროექტებს და დასამტკიცებლად წარუდგენს ინსტიტუტის აკადემიურ საბჭოს;
- ზ). განიხილავს საგანმანათლებლო პროგრამის შესრულების მდგომარეობას;
- თ). განიხილავს სტუდენტთა სემესტრული მოსწრების მდგომარეობას
- ი). განიხილავს და ამტკიცებს საბჭოს სამუშაო გეგმას;
- კ). განიხილავს ფაკულტეტის საქმიანობასთან დაკავშირებულ მიმდინარე საკითხებს.

#### მუხლი 5. დეკანატი

1. დეკანატი არის ფაკულტეტის აღმასრულებელი და დეკანთან არსებული სათათბირო ორგანო, რომელიც ადასრულებს უნივერსიტეტის მართვის ორგანოების და ფაკულტეტის საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.
2. დეკანატის წევრები არიან:
  - ა) დეკანი
  - ბ) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
  - გ) მიმართულებების ხელმძღვანელები
3. დეკანატის სხდომებს ხელმძღვანელობს დეკანი. დეკანატის სხდომები იმართება ყოველ ორ კვირაში ერთხელ. დეკანს უფლება აქვს ვადაზე ადრე მოიწვიოს სხდომა.
4. დეკანატი გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უმრავლესობით, შეიმუშავებს ფაკულტეტის ბიუჯეტის პროექტს და დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს, აგრეთვე მონაწილეობს სტრატეგიული გეგმის შედგენაში.

#### მუხლი 6. ფაკულტეტის დეკანი

1. ფაკულტეტს ხელმძღვანელობს დეკანი.  
დეკანი;
  - ა) უზრუნველყოფს ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტიან მიმდინარებას;
  - ბ) ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების გეგმას, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამებს
  - გ). შეიმუშავებს და ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის სტრუქტურას და დებულებას;
  - დ). თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია წარმომადგენლობითი საბჭოს, აკადემიური საბჭოს და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებაზე;
  - ე). თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს;
  - ვ). თავჯდომარეობს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს;

- ზ). პასუხისმგებელია ფაკულტეტის ბიუჯეტის მიზნობრივ გამოყენებაზე;
- თ). უზრუნველყოფს სასწავლო გეგმების და პროგრამების თანმიმდევრულ შესრულებას, ხელმძღვანელობს სასწავლო პროცესს;
- ი). ხელმძღვანელობს სასწავლო ცხრილების შედგენას და აწარმოებს კონტროლს მათ შესტლებზე;
- კ). უზრუნველყოფს და აკონტროლებს კრედიტების მინიჭების ორგანიზებულად ჩატარებას, აჯამებს მის შედეგებს და ვადებში უზრუნველყოფს დავალიანების ლიკვიდაციას;
- ლ). ფაკულტეტის საბჭოს და რექტორს წარუდგენს სტუდენტთა წახალისების და დასჯის ღონისძიებების პროექტებს;
- მ). სტიპენდიის დანიშვნის შესახებ დებულების მოთხოვნების შესაბამისად რექტორს წარუდგენს სტიპენდიატებს;
- ნ). ხელმძღვანელობს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას;
- ო). დეკანის არჩევნები ხორციელდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე და 29-ე მუხლების საფუძველზე;
- პ). დაკანს უფლებამოსილება უწყდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის სფუძველზე და აგრეთვე დაკისრებული მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების, უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის მოთხოვნებიდან გადახვევისა და საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო. რექტორი უფლებამოსილია ფაკულტეტის საბჭოს წინაშე დააყენოს მისი ვადამდელი გადარჩევის საკითხი.

მუხლი 7. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (შემდგომში სამსახური) იქმნება ფაკულტეტზე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისა და ხარისხის სისტემატიური შეფასების მიზნით;
2. სამსახური ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების გზით;
3. სამსახური ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის საბჭოსა და ინსტიტუტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წინაშე.
4. სამსახურის უფროსს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით კანდიდატურებიდან ირჩევს და ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.
5. სამსახურის უფროსი შეიძლება იყოს ფაკულტეტის საბჭოს წევრი, რომელსაც არ უკავია სხვა ადმინისტრაციული თანამდებობა;
6. სამსახურის უფროსი არის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრი.

მუხლი 8. ფაკულტეტის სპეციალისტის (მდივნის) ფუნქციები

1. სპეციალისტის ფუნქციებია:
  - ა) ფაკულტეტზე ჩარიცხული სტუდენტთა პირადი საქმეების და სხვა დოკუმენტების წესრიგში მოყვანა;

- ბ) სტუდენტთა აკადემიური მოსწრების წიგნაკების და სტუდბილეთების დროულად შევსება და გაცემა;
- გ) აკადემიური ჯგუფების ჟურნალების შედგენა და წარმოება;
- დ) საგამოცდო უწყისების მომზადება, დანომრვა და გამომცდელი პედაგოგისათვის გადაცემა;
- ე) კონტროლი გამოცდებისათვის გაცემული უწყისების სამდივნოში დროულად დაბრუნებაზე;
- ვ) პასუხისმგებლობა საგამოცდო უწყისების შენახვაზე;
- ზ) საგამოცდო უწყისებიდან შეფასებების გადატანა აკადემიური მოსწრების წიგნაკში;
- თ) საბაკალავრო, სამაგისტრო ნაშრომების რეცენზიების შენახვა სტუდენტთა პირად საქმეში;
- ი) სტუდენტთა საფინანსო დავალიანებაზე სისტემატიური კონტროლი;
- კ) ერთი დონიდან მეორე გადაყვან, დასატოვებელ და გასარიცხ სტუდენტთა სიების მომზადება დეკანთან წარსადგენად;
- ლ) მოთხოვნის შესაბამისად ფაკულტეტის ფარლებში ცნობების გაცემა დეკანის ნებართვით;
- მ) ფაკულტეტზე შემოსული განცხადებების და სხვა სწახის სამიანი ქაღალდების რეგისტრაცია და კონტროლი პასუხის გაგზავნაზე;
- ნ) სტუდენტთა პირადი სამეების მომზადება და ჩაბარება არქივისათვის;
- ო) ბრძანების ასლების, განცხადებების, ცნობებისა და სხვა საჭირო დოკუმენტაციის ჩაკერება სტუდენტთა პირად საქმეში;
- პ) სტუდენტთა სარეგისტრაციო წიგნების წარმოება კურსების მიხედვით;
- ჟ) სტუდენტთა აკადემიური წიგნაკის შემოწმება და შედარება საგამოცდო უწყისებთან;

2. ფაკულტეტის მდივანს ეკრძალება:

- ა) სამდივნოში გარეშე პირთა შეშვება;
- ბ) სტუდენტის პირადი საქმეების გადაცემა უცხო პირისათვის (პირადი საქმის ნახვის, განსვავებული დისციპლინების დადგენისა ან სხვა მიზნით)
- გ) საგამოცდო უწყისების გაცემა სტუდენტისათვის;
- დ) საგამოცდო უწყისების გაცემა დეკანის ხელმოწერის გარეშე;
- ე) პერსონალური პასუხისმგებლობით, სწავლის ქირის გადახდის ქვითრის წარმოდგენის გარეშე სტუდენტის საგამოცდო უწყისში შეყვანა;

3. ფაკულტეტის მდივანი ასრულებს დეკანის ცალკეულ დავალებებს.

მუხლი 9. ფაკულტეტის რეორგანიზაცია და გაუქმება

ფაკულტეტის რეორგანიზაცია და გაუქმება ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 10. დასკვნითი დებულებანი

1. ფაკულტეტის დებულებას, დეკანის წარდგენით, შეიმუშავებს ფაკულტეტის საბჭო და დასამტკიცებლად გადასცემს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს.
2. დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ წინადადების დაყენების უფლება აქვთ:
  - ა) დეკანს;
  - ბ) ფაკულტეტის საბჭოს 2/3-ს.
3. დებულებაში ცვლილებები მიღებულია თუ მას მხარს დაუჭერს ფაკულტეტის საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობა და დაამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.
4. დებულება ძალაში შედის მისი გამოქვეყნებისთანავე